სასწავლო კურსის იმპლემენტაციის გამოწვევები აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში

სოფიო მორალიშვილი, მაია ახვლედიანი, ნინო ორჯონიკიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: sopio.moralishvili@atsu.edu.ge
e-mail: maia.akhvledianii@atsu.edu.ge
e-mail: nino.orjonikidze@atsu.edu.ge

https://doi.org/10.52340/lac

მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად აუცილებელია, ბავშვებს ცენტრალური ადგილი ეჭიროთ სახელმწიფოს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება, რომელიც ყოვლისმომცველი სამართლებრივი აქტია და მოიცავს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხს, დიდი წინგადადგმული ნაბიჯია თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. ამავდროულად, ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ თითოეულ ჩვენგანს, რადგან ყოველი ჩვენგანის ვალია წვლილი შევიტანოთ მის სრულფასოვნად დანერგვასა და განხორციელებაში. სწორედ ამ გზით შევძლებთ საზოგადოებაში ბავშვთა უფლებების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და ახალი ღირებულებების და ნორმების დამკვიდრებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძოდ, პედაგოგიური ფაკულტეტების როლი, რათა ჩამოაყალიბოს ახალი ტიპის აღმზრდელები/პედაგოგები, რომლებიც შეძლებენ ბავშვის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტებით ოპერირებას სკოლამდელი განათლების საფეხურიდან დაწყებული, ბავშვის სოციალური აქტივობის ყველა სფეროში.

2022 წლის ივლისის თვეში კვლევა დაიგეგმა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე, მას შემდეგ რაც გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდის ხელშეწყობით მოხდა ბავშვის უფლებების სილაბუსის „ბავშვის უფლებები, თეორია და პრაქტიკა“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ინტეგრირება მოხდა სილაბუსების - „ბავშვთა უფლებები“ (Childs Right) და „ბავშვის უფლებები თეორია და პრაქტიკა (Childs Right Teory and Practice) ქართულ და ინგლისურ ენებზე ინტეგრირება „მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაში „დაწყებითი განათლება“, სამაგისტრო პროგრამაში „განათლების მეცნიერებები“ და „სკოლამდელი განათლების”

საბაკალავრო პროგრამაში. კვლევის მიზნები იყო შეგვესწავლა სტუდენტთა კმაყოფილება შეთავაზებული კურსით; გამოგვევლინა რამდენად შესაძლებელია კურსის მიერ დასახული მიზნების მიღწევა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგვეგეგმა ცვლილებები კურსის გაუმჯობესების მიზნით. კვლევამ გამოავლინა, რომ კურსის სწავლების აუცილებლობა, რადგან ბავშვთა უფლებების დასაცავად საჭიროა მათი ცოდნა და ადვოკატირების უნარების გამომუშავება.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა უფლებები, საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსი, სტუდენტთა კმაყოფილება

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ჩამოყალიბა მსოფლიოს განვითარების ახალი დღის წესრიგი - მდგრადი განვითარების მიზნები 2030 (SDGs)[1]. საქართველოს მთავრობამ გამოხატა მაღალი პოლიტიკური მხარდაჭერა მდგრადი განვითარების გლობალური დღის წესრიგის მიმართ და მიზნად დაისახა ყველა 17 მიზნისა და მათი ამოცანების იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე.[2] მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანი ეხება ხარისხიან განათლებას, რაც გულისხმობს ინკლუზიური, ხარისხიანი, თანასწორი განათლების უზრუნველყოფას და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნას ყველასათვის. თავის მხრივ, საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა (ეროვნული ინდიკატორი 4.2) იღებს ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ყველა ბავშვისათვის სრულიად უფასოდ უზრუნველყოფილ იქნას განვითარების, ზრუნვისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა.[3]

მიზნების მისაღწევად აუცილებელია, ბავშვებს ცენტრალური ადგილი ეკავოთ სახელმწიფოს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება, რომელიც ყოვლისმომცველი სამართლებრივი აქტია და ფარავს ბავშვის უფლებებთან დავაშირებულ ყველა ძირითად საკითხს, დიდი წინგადადგმული ნაბიჯია თანამედროვე საქართველოს ისტორიაში.[4] ამავდროულად, ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ თითოეულ ჩვენგანს, რათა წვლილი შევიტანოთ მის

[1] https://www.un.org/sustainabledevelopment/

[2] https://idfi.ge/ge/extent_of_sdgs_integration_in_national_public_policy_system_of_georgia

[3] https://sdg.gov.ge/text-page/34

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2

სრულფასოვნად დანერგვასა და განხორციელებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძოდ, პედაგოგიური ფაკულტეტების როლი, რათა ჩამოაყალიბოს ახალი ტიპის აღმზრდელები/პედაგოგები, რომლებიც შეძლებენ ბავშვის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტებით ოპერირებას.

კ. დ. უშინსკი აღნიშნავს: ,,აღზრდის ხელონებისათვის დამახასიათებელია ერთი თავისებურება, რომ ყველას ის ნაცნობ და გასაგებ საქმედ მიაჩნიათ იქამდე, რომ იოლ საქმედ თვლიან – და რაც უფრო ნაკლებად იცნობს ადამიანი პედაგოგიურ თეორიას და პრაქტიკას მით უფრო იოლად ეჩვენება იგი [1974: 231].

იგივე შეიძლება ითქვას ბავშვთა უფლებებზე, თითქოს ყველამ ვიცით, როგორ აღვზარდოთ ბავშვი მაგრამ ყველას გვავიწყება, რომ ის აღზრდის და სწავლის აქტიური სუბიექტია და საჭიროა სპეციალური ცოდნა, რომელსაც ეს საგანი, ბავშვთა უფლებები მისცემს მომავალ მასწავლებლებს, მშობლებს.

აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტი, გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდის (UNICEF)[5] მხარდაჭერით ახლაც აქტიურად ჩაერთო ბავშვის უფლებების დამცველი საზოგადოების ფორმირების პროცესში. პედაგოგიკის დეპარტამენტში შეიქმნა და მოქმედი აკრედიტირებული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით მოდერნიზდა სილაბუსები ბავშვთა უფლებებში. მოხდა სილაბუსების - „ბავშვთა უფლებები“ (Childs Right) და „ბავშვის უფლებები თეორია და პრაქტიკა (Childs Right Teory and Practice) ქართულ და ინგლისურ ენებზე ინტეგრირება „მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაში „დაწყებითი განათლება“, სამაგისტრო პროგრამაში „განათლების მეცნიერებები“ და „სკოლამდელი განათლების'' საბაკალავრო პროგრამაში.

2022 წლის ივლისის თვეში კვლევა დაიგეგმა პედაგოგიურ ფაკულტეტზე, მას შემდეგ, რაც განხორციელდა ბავშვის უფლებების კურსის სწავლება. კვლევის მიზნები იყო შეგვესწავლა სტუდენტთა კმაყოფილება შეთავაზებული კურსით; გამოგვევლინა, რამდენად შესაძლებელია კურსის მიერ დასახული მიზნების მიღწევა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგვეგეგმა ცვლილებები კურსის გაუმჯობესების მიზნით. კვლევა ჩატარდა მაგისტრატურის და ბაკალავრიატის სტუდენტებთან, იყო ანონიმური სახის და მონაწილეობა მიიღო 84 სტუდენტმა. კვლევის ჩატარების პერიოდი - 14 – 24 ივნისი, 2022

[5] https://www.unicef.org/georgia/ka

წელი. Google Formsს-ის პლათფომით ანონიმურად გამოიკითხა ბაკალავრიატის 45 და მაგისტრატურის 39 სტუდენტი.

პირველი კითხვა ეხებოდა, თუ რამდენად საჭირო იყო პროგრამით შემოთავაზებული კურსი „ბავშვთა უფლებები, თეორია და პრაქტიკა“. ვთხოვეთ სტუდენტებს შეეფასებინათ 1-დან 5 ქულამდე. გამოკითხულთაგან ყველამ, მაქსიმალური 5 ქულით, მიიჩნია რომ კურსი იყო საჭირო.



მეორე კითხვა ეხებოდა კურსის შინაარსს. „უზრუნველყოფს თუ არა სასწავლო კურსის შინაარსი მის მიერ დასახული მიზნების მიღწევას?“ უმრავლესობამ 82 სტუდენტმა ჩათვალა, რომ კურსის შინაარსი სრულიად უზრუნველყოფს მიზნების მიღწევას. მხოლოდ 3 სტუდენტმა მიიჩნია - ნაწილობრივ.

კურსის სწავლებისას ტრადიციულ მეთოდებთან ერთად გამოყენებულია ინოვაციური მეთოდები. აქედან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნიეთ გაგვეგო, თუ რამდენად მისაღები იყო თანამედროვე სწავლების მეთოდები (მოწვეული სპიკერი, ვიზიტი სპეციალიზებულ დაწესებულებაში) კურსის ფარგლებში, შეაფასეთ 1-დან 5 ქულამდე). მხოლოდ ერთმა სტუდენტმა შეაფასა 4 ქულით, დანარჩენმა 83 აღნიშნული მეთოდები მიიჩნია სათანადოდ.

ასევე, გვაინტერესებდა სტუდენტების მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რას შეცვლიდნენ კურსში - შინაარსს, შეფასებას, მასალებს.



აღმოჩნდა, რომ სტუდენთა 12% პროცენტი შეცლიდა მასალებს, რაც კურსის ერთ–ერთ მნიშვნელოვან სპეციფიკას წარმოადგენს. სწავლების პროცესშიც, ლექტორის მიერ არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ მნიშვნელოვანია მასალის მუდმივად განახლება სფეროში არსებული კვლევების შედეგებით.

ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე „შეძლებთ თუ არა კურსის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას?“ პასუხი იყო, რომ აუცილებლად შეძლებენ.



ასევე, მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების მოსაზრება, თუ რამდენად შეცვალა კურსმა ბავშვთა უფლებებზე არსებული მათი წარმოდგენები და აღმოჩნდა, რომ აქაც უმრავლესობამ ახლებურად გაიზრა საკითხი და გადააფასა აქამდე არსებული ღირებულებები და მკვიდრი წარმოდგენები.

სტუდენტებს ვთხოვეთ გაეხსენებინათ კურსში განხილული თემებიდან რომელი იყო მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. პასუხები პროცენტულად შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:
1. ბავშთა მიმართ ძალადობა. როგორ უნდა მოიქცეს და ვის უნდა მიმართოს ბავშვმა ძალადობისგან თავის დასაცავად – 60%

2.ბავშთა უფლებები განათლების სფეროში – 30%

3.ბავშვთა უფლებები საქართველოში –10%

ასევე გამოიკვეთა საკითხები: მოზარდთა უფლებები მონაწილეობასა და ჩართულობაზე, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება/მოსმენა, ბავშვთა შრომა, ბავშვთა უფლებები ოჯახსა და საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში, უპატრონო ბავშვთა თავშესაფრებში.

კურსის შედეგების ანალიზისათვის და სრულყოფისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია სტუდენტთა გულწრფელი მოსაზრებები და რეკომენდაციები ლექტორთან და კურსთან მიმართებით. გამოიკვეთა ის, რომ მათი უმრავლესობისათვის კურსი იყო მნიშვნელოვანი, ინფორმაციული და ნაყოფიერიც, რადგან პრაქტიკული აქტივობების, სიტუაციური ამოცანების, ქეისების, პრაქტიკოსებთან შეხვედრის შემდეგ, ისინი მაქსიმალურად შეეცდებიან მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას. ერთ–ერთი სტუდენტის მოსაზრებით: „ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ამ კურსის გავლა იქედან გამომდინარე, რომ ვერ ვხვდებოდი ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც ბავშვის უფლებები ირღვეოდა არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ხოლო ლექტორის დახმარებით და კურსის გავლის შემდეგ უკვე ვიცი, როგორ გავართვა თავი კონკრეტულ სიტუაციას, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ასე ხშირად გვხვდება.“ მეორე სტუდენტის მოსაზრებით: “კურსის შინაარსი და მის ფარგლებში განხილული თემები საინტერესო და ამავდროულად უაღრესად მნიშვნელოვანია განათლების სფეროში მომუშავე პირებისათვის. როდესაც საუბარია პედაგოგიურ საქმიანობაზე, იქ აუცილებელი და უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებების დაცვა. იმისათვის, რომ დავიცვათ ბავშვთა უფლებები, საჭიროა ვიცოდეთ ისინი. ამ კურსის საშუალებით, ჩვენი ლექტორის ხელმძღვანელობით, მისი პროფესიონალიზმით, საგნის საფუძვლიანი ცოდნით, გადმოცემის შესანიშნავი უნარითა და უაღრესი ჰუმანურობით, ეს მიზანი უფრო მარტივი მისაღწევია.“

ვფიქრობთ, რომ ბავშვის უფლებების თეორიის და პრაქტის მცოდნე მასწავლებლებლები ხელს შუწყობენ, ბავშვს თავისი განვითარების შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალური შედეგის მიღწევაში. იგი პირადი მაგალითითაც მოახდენს დიდ გავლენას ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. უნივერისიტეტებისათვის კი გამოწვევად რჩება სწორედ იმ ტიპის მომავალი აღმზრდელების ჩამოყალიბებება, რომლებიც შეძლებენ საზოგადოებაში ახალი ღირებულების დანერგვას და სწავლა–სწავლების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესებით ოპერირებას ადვოკატირებას.

ლიტერატურა;

1. უშინსკი კ. დ. რჩეული პედაგოგიური ნაშრომები, ტ. I მოსკოვი, 1974. გვ. 231.
2. Ending violence against children: six stages for action, UNICEF, New York 2014
3. UNICEF strategic plan 2014-2017, New York, UNICEF 2014, p.6
4. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები https://www.un.org/sustainabledevelopment/
5. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ინტეგრაცია საქართველოს ეროვნულ საჯარო პოლიტიკის სისტემაში https://idfi.ge/ge/extent_of_sdgs_integration_in_national_public_policy_system_of_georgia
6. მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი https://sdg.gov.ge/text-page/34
7. ბავშვის უფლებათა კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2

Sophio Moralishvili, Maia Akhvlediani, Nino Orjonikidze

Akaki Tsereteli State University

Challenges in implementing the education course in the Pedagogical Faculty's educational programs

Abstract

Children must be the focal point of the state's strategy and action plan if sustainable development objectives are to be met. The enactment of the Child Rights Code, a complete legislative document that addresses all the key concerns relating to children's rights, is a significant development in the history of contemporary Georgia. At the same time, it imposes a great responsibility not only on the state, but on each of us, because it is the duty of each of us to contribute to its full implementation and implementation. In this way, we will be able to raise

awareness of children's rights in society and establish new values and norms. In order to develop new types of educators and pedagogues who can work with high standards of protection of children's rights, starting from pre-school education level, in all areas of the child's social activity, the role of higher educational institutions, in particular, pedagogical faculties, is especially important.

In the month of July 2022, the study was planned at the Faculty of Pedagogy of Akaki Tsereteli State University, after the child rights syllabus "Child Rights, Theory and Practice" (in Georgian and English languages) was integrated into the Master's program "Educational Sciences" and 300 teacher training program with the support of the United Nations Children's Fund. The goals of the study were to determine whether students were satisfied with the course that was being offered; to determine how the course's objectives could be met; and, based on the analysis of the findings, to make improvements to the course. The research found the need for the course's instruction since training in advocacy and knowledge development is essential for safeguarding children's rights.

Key words: child rights, educational programs, syllabus, student satisfaction